№ 75. 8 აპრილი, ოთხშაბათი. 1866—1881 8 აპრილი, ოთხშაბათი. № 75.

რედაქცია

გალავნის ბრანსპექტზეთ. იგ. მუხრანსკის სახლებში ალუბის ქვეშთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებაჰ„„იგერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროებაჰ-„იგერიის“ აგენტთან ი. ჯუღინასთან ხილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროებაჰ-„იგერიის“ ფასი

წელიწადში.	6 თვეს.	3თვეს
„დროებაჰ“ და „„იგერიაჰ“ ერთად	14 მან.	8 მ.	5 მ.
ცალკე „„დროებაჰ“	9 მან.	5 მ.	3 მ.
ცალკე „„იგერიაჰ“	7 მან.	4 მ.	2 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. წვრილებრივ ასოთ-ოთხერულით ასოზე სახეკარ-კან. წვრილებრივ ასოთ ასოზე შეოთხედი კაპ.

თუ ხაჭირდება მოითხოვოს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უოხტით კერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაჰ“-„„იგერიის“ აგენტთან.

ციტლეონომერი „„დროებისაჰ“ დიან ნ 5 კაპ.

პირველის აპრილიდამ წლის დამლევამდინ

დროება

ღირს შვიდი მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში: რედაქციაში (გალავნის პრანსპექტზე, თ. იგ. მუხრანსკის სახლებში, ალუბის ქვეშ), ქუთაისში—აგენტთან ბ. იდია ჯუღინასთან (სიღაზე, მირიან ჯუღინას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“.

ტელეგრამები

ლონდონი, 6 აპრილს. მერვიდამ მოვიდა ამბავი, რომ გუშინ 200 ბელადს თურქმენებისას ჭქანცათ მოლაპარაკება და გარდაუწყვეტიათ, რომ სპარსეთისა და რუსეთის სამზღვარზე არ გადავლენ და ბრძოლას არ ასტეხენ.

კეტერბურღი სბირჭა, 6 აპრილს.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტო“)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემისა—	— 97 —	„
მეორესი— — — — —	— 95 —	„
მესამესი — — — — —	— 94 —	50
მეოთხესი — — — —	— 93 —	75
აღმოსაელეთის პირვ.—	— 92 —	75
აღმოსაელეთის მეორე	— 92 —	75
აღმოსაელეთის მესამე	— 93 —	„
ოქრო, 1/2 იმპერიალი	— 7 —	84

თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი	— —	24—69
შინაგანის 5% სესხი ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი სესხის	— —	223—50
მეორე სესხის	— — —	216—50
1 მანეთი ღირს:		
ლონდონი	— —	24—69 პენსი
ბამბურღი	— —	211—10 ცენტი
პარიჟი	— — —	261—10 სანტიმი
ვენა	— — —	126—50 პფენიგი
კავკასიის კერასინი	— —	—

„კავკაზის“ აზრი კავკასიის უნივერსიტეტზე

ტფილისი, 7 აპრილს.

ბასაკვირველია ამ გაზეთის „კავკაზის“ საქმე რომელზედაც უნდა დაიწყოს, ამ უკანასკნელ დროს, ლაპარაკი, რა-იმისთანა საზოგადო საჭიროების დამაკმაყოფილებელ საგანზედ ალაპარაკოს, უეჭველია, ყოველთვის ისეთი აზრები უნდა წარმოსთქვას და ისეთი წინადადება უნდა შემოიტანოს, რომელიც ჩვენის მხრის მოთხოვნილებათა და ჩვენი ხალხის საზოგადო სურვილის წინაალმდეგია. არავითარი წუნს, არავითარ ნაკლულევანებას ეს გაზეთი ჩვენს ქვეყანაში ვერა ჰხედავს; ყველა დაწესებულებანი კარგია ჩვენში, ჩინოვნიკები უმანკო ანგელოზები არიან... სასოფლო სკოლებში თუ სწავლა სუსტად მიდის, ეს ამიტომ რომ შაგირდებს სკოლაში შესვლისა-თანავე, პირველ დღიდავე რუსულის ენაზედ არ აწყებინებენ სწავლას. საქალაქო სახელოსნო სასწავლებელში შაგირდები ხან-დახან ერთმანეთში კინწლაობენ,—ამის მიზეზი ის არის, ამ სასწავლებელში სამი განყოფილებაა, ქართველებს ქართულად ასწავლიან ანბანს, რუსებს—რუსულად და სომხებს—სომხურად! ყველას რომ რუსულად ასწავლიდენ, მაშინ სასწავლებელში სრული წესიერება იქნება, ქართველი რუსსა და სომეხი სომეხს ქისტს აღარ წაჰკრავს! და სხვ. და სხვ.

ვიმეორებთ, თითქო განგებ, გაზ. „კავკაზი“ ყველაგვარ საგნებში ისეთს აზრებს წარმოსთქვამს ხოლმე, რომელიც არც ღვთისაა და არც კაცის.

ეს, უეჭველია, იმიტომ წარმოსდგება, რომ ამ გაზეთის დროებით რედაქტორს (ნაკორრექტორალს) ბ. ქიბიაკოვს გაუგია, რომ გაზ. „კავკაზი“ ოფიციალური გაზეთია და ამის გამო ვალდებულად მიაჩნია თავის თავი, რომ მოიწონოს ყველაფერი, რაც ჩამოსულ ჩინოვნიკებსა მოსწონთ და გაჰკიცხოს, რასაც იგივე ჩინოვნიკები ჰკიცხავენ...

სწორედ ასე მოიქცა ეს გაზეთი კავკასიის უნივერსიტეტის შესახებაც.

როგორც დაიბადა ჩვენში ჩინებული აზრი—კავკასიაში უნივერსიტეტის დაარსებისა—და არა თუ დაიბადა, არამედ იმის განსახორციელებელად თფილისისა და ქუთაისის ქალაქის გამგეობამ და ქუთაისის თავად-აზნაურთა ბანკმანივთიერი შემწეობის აღმოჩენაც გადაწყვიტეს, თუ კი მთავრობა ინებებს ამ უნივერსიტეტის დაარსებასაო,—იმ წამსვე უკბილო „კავკაზმა“ სიცილი დაიწყო თვით ამ საგანზე და მასხარად აგდება შემწირველებისა: რა საჭიროა ჩვენთვის უნივერსიტეტიო? ვინ თხოვულობსო? ქუთაისსა და თფილისს თვითონ რო არაფერი გაეჩინათ, უნივერსიტეტისათვის რას სწირავენო! პროფესორები არ გეყოლებათ, სტუდენტები არ გეყოლებათ, ვისთვის გამართავს მთავრობა კავკასიაში უნივერსიტეტსაო?! და სხვ. და სხვ.

ბუშინწინდელს ნომერში (76) გაზ. „კავკაზი“ კიდევ უბრუნდება ამ საგანს. ის იმეორებს წინეთ ნათქვამ სიბრძნე':

„კავკასიის მომავალ უნივერსიტეტისათვის ყველაზე პირველად საჭიროა დონის-ძიება, მერე პროფესორები და შემდეგ სტუდენტები. მაგრამ ვსთქვათ, რომ პირველ შემთხვევაში კავკასიის დიდებულ მოქალაქეებმა მიაწოდეს მას უსვის სედით, ოცნებითი კი არა, ნამდვილი ასი ათასი მანეთები; ვსთქვათ, რომ ამით მთავრობაც დაეხმარება; ვსთქვათ, რომ პროფესორებიც აღმოჩნდებიან, რადგან საჭიროება გამოითხოვს დაკმაყოფილებას; მაგრამ სად უნდა იშოვნონ სტუდენტები? იმათ ხომ რუსეთიდამ და საამზღვარ გარეთიდამ ვერ გამოიწერთ, როგორც პროფესორების გამოწერა შეიძლება?...

კავკასიის სამასწავლებლო მაზრის მზრუნველის 1879 წლის ანგარიშიდამ სჩანს, რომ ამ წლის განმავლობაში კავკასიის იქითა და აქეთა მხრის ოთხს გიმნაზიაში სულ 52 უმაწვილს დაუბეჭდ სწავლას. საქალაქო სახელოსნო სასწავლებელში შაგირდები ხან-დახან ერთმანეთში კინწლაობენ,—ამის მიზეზი ის არის, ამ სასწავლებელში სამი განყოფილებაა, ქართველებს ქართულად ასწავლიან ანბანს, რუსებს—რუსულად და სომხებს—სომხურად! ყველას რომ რუსულად ასწავლიდენ, მაშინ სასწავლებელში სრული წესიერება იქნება, ქართველი რუსსა და სომეხი სომეხს ქისტს აღარ წაჰკრავს! და სხვ. და სხვ.

ბოლო ნომერში (76) გაზ. „კავკაზი“ კიდევ უბრუნდება ამ საგანს. ის იმეორებს წინეთ ნათქვამ სიბრძნე':

„კავკასიის მომავალ უნივერსიტეტისათვის ყველაზე პირველად საჭიროა დონის-ძიება, მერე პროფესორები და შემდეგ სტუდენტები. მაგრამ ვსთქვათ, რომ პირველ შემთხვევაში კავკასიის დიდებულ მოქალაქეებმა მიაწოდეს მას უსვის სედით, ოცნებითი კი არა, ნამდვილი ასი ათასი მანეთები; ვსთქვათ, რომ ამით მთავრობაც დაეხმარება; ვსთქვათ, რომ პროფესორებიც აღმოჩნდებიან, რადგან საჭიროება გამოითხოვს დაკმაყოფილებას; მაგრამ სად უნდა იშოვნონ სტუდენტები? იმათ ხომ რუსეთიდამ და საამზღვარ გარეთიდამ ვერ გამოიწერთ, როგორც პროფესორების გამოწერა შეიძლება?...

კავკასიის სამასწავლებლო მაზრის მზრუნველის 1879 წლის ანგარიშიდამ სჩანს, რომ ამ წლის განმავლობაში კავკასიის იქითა და აქეთა მხრის ოთხს გიმნაზიაში სულ 52 უმაწვილს დაუ-

«დროების» ფელეტონი, 8 აპრილს.

ქუთათური ამბები

იმერეთის დეპუტატებზე.—როგორ უნდა მოქცეულიყვნენ.—მოამავალი ქუთათური გაზეთი შრომა.—მისი რედაქცია და თანამშრომლები.—ქუთაისი მწერლობის ასპარეზზედაც გამოდის.—„ალანდობა“ ი. ანდღულაძისა.—„საქართველოს ისტორია“ ბროსსესი.—პრემიის სელის-მოწერა.—იმერეთის თავად-აზნაურთ ბანკის დამფუძნებელთადმი.

— წაიკითხე?

— წავიკითხე...

— თფუ, იმის კაცობა, იმისი!.. აკი ამბობდნენ, ბიძია, რა შეილებიც ბძანდებოდა! არ დავიჯერეთ და აჰა, დაგვასხა თავს-ლაფი, მოგვჯაყა მთელი ქვეყნის თვალ-წინ!

— ბეცოდნოდა მაშინ, ეს დღე დაგვადგებოდა, მოგეცათ სიცოცხლე, იმას გავაშავ-ყორანებდით, მაგრამ ამისთანა საქმეს ადამიანის შვილს როგორ დავწამებდით...

— არ ვიცოდით განა,—ბრუნდაო გაზდილ ხეს რა გაასწორებდა? „ბამარჯობა გავიმარჯოს“ მაგიერ ამ სიტყვებით ეგებებიან ახლა იმერეთში ნაცნობები ერთმანეთს.

„დროების“ მკითხველები უთუოდ, მიხვედრილნი არიარ რის-გამო და ვისზედაა ზემოხსენებულნი სიტყვები მიმართულნი, და, რასაკვირველია, თავის მხრითაც მრავალ რამეებს დაუმატებენ... დიაღ, ბევრი, ბევრი სათქმელი აქვს ყოველ პატიოსან კაცს იმ შეურაცყოფაზე, რომელიც იმერეთის „დეპუტაციამ“ მიაყენა პეტერბურღში დასავლეთ-საქართველოის გუბერნიერს მოსწრაფებასა და ყოველად კანონიერ სურვილთა. ერის გულის წყლულისა და აუარებელ საჭიროებათა მოხსენების მაგიერ ჩვენმა „დეპუტანტებმა“ ითხოვეს... ვენზელი ხელმწიფის ამალაში მსახურთ ქართველებისათვის, თითქოს უ-ამვენზილოთ არ დარჩებოდა მათს გულში ხსოვნა ალექსანდრე II, რომელმაც შემოგვიერთა სამასი წლის განმავლობაში ჩვენგან დაშორებული სამცხე-ქლარჯეთი, გლეხთ მიანიჭა თავისუფალ ცხოვრებათა უფლება და სხვ. და სხვ...

იმერეთის თავად-აზნაურობამ თვით იმ „დეპუტატების“ თანა-დასწრებით სამჯერ გარდასწყვიტა თავის კრებებზე და სამჯერ სთხოვა მმართებლობას: ა) ქართული ენის შემოღება ქუთაისის ორსავე გიმნაზიისა და პროგიმნაზიის ყველა კლასებში და ქართულის მასწავლებელთა თანამდებობის გათანასწორება სხვა ოსტატების თანამდებობასთან; ბ) საპატიო მსაჯულების არჩევის უფლება და გ) რეალური სასწავლებლის დაფუძნება ქუთაისში. სამიეჯერ ეს ერთობ დაკრძალული თხოვნა უპასუხოდ დარჩა, სუფრის ქვეშ ამოდებული... სხვა რამესი თხოვნა თუ ვერ მოახერხეს, ეს მაინც გაეხსენებიათ ჩვენს „ბრწყინვალე“ დეპუტატებს. ამისათვის ხომ მაინც, ღვთისა და ბატონის წყალობით, ბუმბოლდტის ცოდნა არ იყო საჭირო!..

თუთხმეტს ან ოც-და-ორს ამ თვისას ქუთაისში გამოვა პირველი ნომერი კვირეული გაზეთის „შრომისა“, რომელიც რამდენჯერმე იყო ჩვენს გაზეთში მოხსენებული. სივრცით 73 წელს რომ „დროება“ გამოდიოდა, იმდენი იქნება, წლიური ფასი 7 მანეთი, № 15 კაპ. რედაქტორ-გამომცემელთ გარდა ამ გაზეთში დაახლოებულს მონაწილეობას იღებს კ. ბ. ლორთქიფანიძე (დროებით ნარედაქტორევი „დროებისა“) და თანამშრომლებათ იქნებიან თ. პ. თუმანიშვილი და ა. ბ. ჭიჭინაძე. ესაა მთელი სამწერლო ძალა დასაბადებელის ქუთათური ორგანისა. ჩვენებურის კვირეულ გაზე-

სრულებია სწავლა. რადგან სტავროპოლიდამ და ეკატერინოდარიდამ ჩვენს უნივერსიტეტში სტუდენტები არ გვეუოლება და ქუთაისიდამ და თფილისიდამ სულ ბევრი 20 სტუდენტი გვეუოლოს, გამოვა, რომ კავკასიის უნივერსიტეტში ბევრი ფოქულტეტები უსტუდენტოდ დარჩება.

„... მაშ ვისთვის უნდა დაარსდეს კავკასიის უნივერსიტეტი? ჯერ გიმნაზიების რიცხვი უნდა მოუმატონ და მერე უნივერსიტეტზე ვიფიქროთ“...

რამდენი სიტყვაა ამაში, იმდენი შეცდომა.

ჯერ ერთი ეს, რომ ქალაქი და ბანკი კერძო პირი არ არის, დაჰპირდეს მთავრობას, უნივერსიტეტს თუ გახსნით, შემწეობას მოგცემთო, და მერე ალარ მისცეს. ჩვენ დირწმუნებული ვართ, რომ ეს შემწეობა მთავრობას გაუორკეცდება, ოღონდ უნივერსიტეტის გახსნა ბძანოს.

მაგრამ, რატომ იმასაც არ ეიტყვით, რომ სხვა ქალაქებში, გარდა ციმბირის უნივერსიტეტისა, საზოგადოებას არავითარი შემწეობა არ აღმოუჩენია მთავრობისათვის უნივერსიტეტის დაარსებაში და ყველგან ხაზინამ თავის ხარჯით გამართა უნივერსიტეტები!

პროფესორები რომ კავკასიის უნივერსიტეტს არ მოაკლდება, ამაში ეჭვი არ არის, ერთი იმიტომ, რომ მეცნიერებისათვის არც ერთი მხარე რუსეთისა არ წარმოადგენს ისეთს საინტერესო ნიადაგს, როგორც კავკასია. ბუნების გამომძიებელნი, ფილოლოგები, იურისტები და სხვ. უხვ ნიადაგს ნახვენ ჩვენში თავიანთ მეცნიერების წასამარტებელად.

რაც შეეხება სტუდენტებს, აქაც იმდენი სიმართლე მიუძღვის „კავკაზს“, რამდენიც სხვა ზემო-მოყვანილ საგნების შესახებ: იმას მოჰყავს მარტო ეკატერინოდარს, სტავროპოლის, თფილისის და ქუთაისის კლასიკური გიმნაზიები და ამტკიცებს, რომ პირველის ორი გიმნაზიიდამ ჩვენში არ მოვლენ სტუდენტებიო და თფ. და ქუთ. გიმნაზიებიდამ წელიწადში 15-20 კაცზე მეტი არ იქნებაო.

ჯერ ერთი ეს: რატომ აქ არ მოვლენ ეკატერინოდარიდამ და სტავროპოლიდამ? რომელი სხვა უნივერსიტეტი რუსეთისა უფრო ახლო ექნებათ. მეორე, რატომ არ მიიღებთ მხედველობაში, რომ დღეს თუ ხვალ, უეჭველია, რეალურ სასწავლებლებისა და სას. სემინარიების შაგირდებსაც მიეცემათ უფლება უნივერსიტეტიტში შესვლისა და მაშინ ჩვენს უნივერსიტეტში მარტო ოთხი გიმნაზიიდამ კი არ შეველენ შაგირდები, არამედ ვლადიკავკაზის, ბაქოს, თფილისის რეალურ გიმნაზიებიდამაც, ერევნისა და ქუთაისის მეორე გიმნაზიიდამაც, თფილისისა და ქუთაისის მომავალ სასულიერო სემინარიიდამაც და სხვ.

ამ ნაირად 5-10 წლის განმავლობაში ჩვენ გვექნება 10-12 საშუალ სასწავლებელი, რომლებშიაც კურსდასრულებულ ყმაწვილ-კაცებს შეეძლებათ ჩვენშივე გაგრძობა უმაღლესის სწავლისა.

ამას მიუმატეთ კიდევ თავისუფალნი მსმენელნი ლექციებისა; მიუმატეთ კიდევ რუსეთიდამ მოსული სტუდენტები (ჩინებული ჰავა, ბუნება კავკასიისა, უეჭველია, ბევრს მოიყვანს ჩვენს ქვეყანაში) და თქვენ გაიგებთ, რომ ჩვენს მომავალს უნივერსიტეტს არც ერთ ამ მხრით არ ექნება დაბრკოლება.

ამ საგანს ჩვენ კიდევ მალე დაუბრუნდებით.

ახალი ამბები.

ეს რამდენიმე დღეა, რაც ჩვენს ქალაქში გაელით იმყოფება სპარსეთის შაჰის ბიძა თავის ამალითა. ეს მოდის ქაბიდამ, სადაც სალოცავად ყოფილა. ახლა, შაჰის მინდობილობით, მიდის პეტერბურღში, ხელმწიფე იმპერატორს უნდა მიულოცოს ტახტზე აბრძანება. სამზვარ გარეთის გაზეთებში იწერებიან, რომ ამას მიაქვს ჩვენის იმპერატორისათვის სპარსეთის შაჰისაგან საკუთრის ხელით დაწერილი მოსალოცავი წიგნი, ამასთანავე საჩუქრად ძვირფასი ხრმალი, რომელიც ათი-ათას თუმნად ღირსო და ამას გარდა კიდევ ძვირფასი ბეჭდები და სხვა საჩუქრები იმპერატრიცისათვისაო.

* * *

თფილისის თავად-აზნაურობის დეპუტაცია ჩამოვიდა. ქუთაისის დეპუტაციის კი ჯერ-ჯერობით არა ისმისრა.

* * *

ჩვენ ვნახეთ გუშინ ახალი წყლის ამოსაწევი მაშინა, რომელიც გაუმართავს მოდელად, მინუშად, ერთს უბრალო უსწავლელი ქართველ კაცს, ფიცხელაურს. ამ მაშინის გასაკეთებელად ზოგიერთ პირებს მიუკიათ ცოტაოდენი შემწეობა და ამიტომ მაშინაც ერთობ პატარაა და ყველა ხელმოსაწყობი მასალები არა აქვს, რომ რიგიანი რამ გაემართა.

ეს ფიცხელაური ისეთი დაჯერებულია, რომ იმის მაშინის შემწეობით უორთქლოდ, უცეცხლოთ შეუძლიან რა სიმაღლეზედაც უნდა წყლის აწევა, რომ ყურადღება უნდა მიაქციოს მცოდნე და ფულიან კაცებმა. ედისონიც დი ბევრი სხვა გამოჩენილი მომგონნიც სხვა-და-სხვა მაშინებისა ამისთანა უსწავლელი კაცები იყვნენ, მაგრამ, ბუნებითის ნიჭის წყალობით, ბევრი ისეთი რამ მოიგონეს, რომელიც მთელის კაცობრიობისათვის გასაკვირველი და გამოსადეგი შეიქნა.

ფიცხელაური ამბობს, საშუალება რომ მომცა და ღონის-ძიებას რომ აღმომიჩენდნენ, უორთქლის მაშინოთ, წყალს ამოვიყვან მტკვრიდამ და იმდენსაც, რომ მთელს ქალაქს ეყოსო.

იქნება მართლა ერთი რამ მოიგონა ამ კაცმა — ამიტომ, ვიმეორებთ, ურიგო არ იქნება, მცოდნე და ფულიან კაცებმა ყურადღება მიაქციონ და საშუალება მისცენ, რომ გამოსცადოს თავის მაშინა.

რუსეთის ამბები.

გაზ. „ბოლოსში“ სწერია, რომ პეტერბურღის ქალაქის სამართველოში ხელმწიფე ალექსანდრე II-ს სახსოვრათ ეკლესიის ასაგებათ 23 წასულ თვის რიცხვამდე შეგროვილა ფულათ 12,772 მან. და 36 კაპ. ამას გარდა შემოუწირავთ ბევრი სხვა-და-სხვა ძვირფასი საეკლესიო სამკაულები, ხატები და სხვ.

— ერთი ნემეცური გაზეთის სიტყვით, ამ წლის მაისის ბოლო რიცხვებში, რუსეთის იმპერატორს მიელიან ბერლინში.

— ინგლისურ გაზ. „სტანდარდში“ იწერებიან ბერლინიდამ, რომ პრუსიის სამზღვრიდამ მოყოლებული პეტერბურღამდი რკინის გზაზედ ყოველ ორას ფეხის ნაბიჯზედ დაყენებულია სამხედრო ყარაულები.

— ამ მოკლე ხანში, როგორც იწერება გაზ. „ნოვოსტი“, ყველა პეტერბურღის პოლიციაში მოსამსახურე პირთ მოემატებათ ჯამაგირები.

— ბრიუსელიდამ იწერებიან ერთ ნემეცურ გაზეთში: „რუსეთის ელჩმა ბელგიაში გრაფ ბლუდოვმა, თავის მმართებლობის მინდობილობით, მოსთხოვა აქაურ მმართებლობას დათმობა რუსის არტილერიის კაპიტნის ზარუესკისა, რომელსაც ბრალსა სდებენ 1 მარტის მომხდარს საქმეში. ეს კაპიტანი დაუტუსაღებია კიდევაც ბელგიის მთავრობას, მაგრამ ჯერ სჩხრეკენ საბუთებს.

— პეშტის გაზეთი „ლლოიდი“ ამტყუენებს იმ ხმას, ვითომ ავსტრია-ვენგრია დათანხმებოდეს რუსეთს პოლიტიკურ დამნაშავეთ დატუსაღებაში დახმარებას.

თისათვის ეს ძალა საკმაოა, მაგრამ, სამწუხაროდ ისიც ვერ იქნება მუდმივი მოღვაწე გაზეთისა. სამი პირი: თვით რედაქტორი — გამომცემელი დ. ნაზარიშვილი (ექიმი), პ. თ — შვილი (გამომძიებელი ოლქის სასამართლოში) და ა. ბ. ჭიჭინაძე (ზედამხედველი საანზაურო სკოლისა) ისე გართულნი არიან თავიანთის თანამდებობით, რომ სისტემატიურად შრომა „შრომისა“-თვის ვერ შეუძლიათ, და ისე კი, დროთა-დრომდე, თუ სამივე თავ-თავის სპეციალურ საგანს ამოირჩევს, ეჭვი არ არის, გონივრულსა და „ქრისტიანულის“ ქართულ ენით დაწერილს სტატიებს უძღვნიან მათის თაოსნობითა და შრომით დაფუძნებულს „შრომას“. ამ ნაირად რედაქციის დედა-ბოძად იქნებიან: რედაქტორი-გამომცემელი თ. დ. დადიანი და თ. ძ. ბ. ლორთქიფანიძე, რომელნიც უცნობნი არ არიან ჩვენის მკითხველ საზოგადოებისაგან. პირველი მათგანი რამდენიმე წლის წინად იყო „დროების“ პარიჟელ კორრესპონდენტად და მეორე კი ერთის წლის განმავლობაში (1873) განაგებდა ჩვენს გაზეთს.

მკითხველი ჰხედავს, რომ ახალი გაზეთის რედაქცია ღირსეულთ პირთაგან არის შემდგარი. ასე რომ, ამ დასაბადებელმა ორგანომ ჩვენის მწერლობისამ პირველ ჟამსვე, კიდეც რომ ვერ შესძლოს თავის დანიშნულების თხემაზე მაგრად დადგომა, მიმართულება, მოსწრაფება და წადილი მაინც გულ-წრფელი და პატიოსანი ექნება.... ჩვენში, სადაც შესაძლებელია „იმედისთანა“ ჟურნალის გამოცემა, რომელიც დედა-მიწაში თუჯის მადენს პოულობს, მიზეზის მოუსპობლად შედეგის გაქარწყლებას ჰქადაგებს (იხ. № 1-ში „ერთი ჩვენი სიღარიბის მიზეზი“) და საუბროს „უსულო“ ქართველზე და „უსულო“ დიპლომატებზე, — ჩვენში-მეთქი, ესეც კარგ თვისებათ ჩაეთვლება ნორჩ გაზეთსა ანუ ჟურნალს...

ასე თუ ისე, ქუთაისი ნელ-ნელა გამოდის იმ საყვედურიდამ, რომელიც დღემდის სამართლიანად ხვდებოდა მას, როგორც საზოგადო თქმულებით ისე მწერლობის მხრითაც. ჩვენ ვამბობთ აქაურს ლიტერატურულს ძალაზედ და მისს გამოყენებასა და გამოჩენაზედ. — ქუთაისი დასავლეთის საქართველოს გონებითს მეთაურობას ჩემულობსო; იკვეხიან, რომ იქაური ზოგი ახალგაზდა მწერლობას მისდევსო, ამბობდა წინა წლების „დროების“ ერთ-ერთს №-ში ბ. პეტრე უმიკაშვილი, — და აბა თუ ერთი რიგიანი წიგნი ვამოუციათ თავიანთს ქალაქშიო! ამიერ იმედია, ამისთანა სიტყვები ალარ გაისმას ქუთაისის შესახებ...

ზემოთ მოხსენებულ კვირეული გაზეთის გარდა აქ საფუძველი ედება წიგნებისა და წიგნაკების გამოცემასაც. ეს-ეს არის აქაურის სტამბიდამ გამოვიდა უმანკო წიგნაკი — „ჯალანდობა“, კომედია-ვოდევილი(?!) თხზ. ი. ანდღულაძისა. ავტორს შეცდომით მოუნათლავს თავისი „თხზულება“ კომედია-ვოდევილის სახელიდ: ის არის სცენა გურულების ცხოვრებიდამ, სახელდობრ მიგებება ახალ-წლის პირველი დღისა, ანუ როგორც გურულნი უწოდებენ, „ჯალანდისა“. შალაშინის ცოტა-ოდნად გაკვრის შემდეგ ეს სცენა თამამად შეიძლება დაიდგას ჩვენს თეატრში. ავტორს გურული კილო დაუცვავს და ეს ცოტათი გაუძნელებს არა-გურულ მოთამაშეს როლის უნაკლულოდ ასრულებას. ნუ დაივიწყებთ, რომ გურული კილო საამო სასმენი მხოლოდ მაშინ არის, როდესაც იგი უნაკლულოდ შეთვისებული აქვს მოლაპარაკეს, თორემ, ისე ვერაფერი მოსაწონია. მაგალითად მოვიყვანთ იმ ალაგს, როდესაც გურული მწუხარებს, რომ ის ნიგოზი, რომლის მსგავსად ოჯახის ავსებას

„დროების“ კორრესპონდენცია.

—

კავკასიის მთიებიდამ, 3 აპრილს. სოფელს სნოზედ სიშორით ერთი ვერსის მანძილზედ არის სადღაც მაღლა მთის საშუალ ალაგს მერცხლის ბუდესავით მიკრული ძველი ნასახლარი. ამ ნასახლარის კედლები ოთხივე მხარეს გაურღვეველათ არიან დღესაც, მხოლოთ ბანი-კი ჩაქცეულია. როგორც ეტყობა სიდიდეზე, ეს შენობა რამდენიმე თვალათ ყოფილა გარდაწოლვილი.

ეს შენობა უფრო მით გახლავესთ შესანიშნავი, რომ სოფ. სნოს მცხოვრებთ ძველთაგანვე აქვსთ ჩვეულებათ დარჩენილი, და დანიშნული საუფლო დღესასწაულათ, წმ. აღდგომის შემდეგ, რომელიც მოვა მეთორმეტე კვირა დღე. (რომელიც ითვლება წმ. აღდგომა დღიდამ და მოუვათ ხოლმე მკათათვეში); სნოველებს ამ სასწაულის დღისათვინ აქვსთ ორი მაღალი მთის წვერი დანიშნული, რომელნიც მდებიარებენ სოფ. სნოზედ მთა—ჩრდილოეთით, და მეორე მთა აღმოსავლეთით; პირველს მთას უწოდებენ „წვერს“ და მეორეს „დარყეს“. „წვერს“ მიდიან მლოცველი კვირა დღეს და „დარყეს“ ორშაბათს; ორშაბათს წარსულმა მლოცველმა „დარყეს“ უნდა გაიაროონ ამ ნასახლარის თავზე, რომელიც ზემოთ მოვიხსენიე, და ვისაც-კი ქვის აღება შეუძლიან ხელში მდედრობით სქესს, ყველანი მოვალენი არიან თითოეულმა რამთენიმე ქვა უნდა გადააგდოს იმ ნასახლარში შემდეგის სიტყვების თქმით:

— „ძაღლებო! ძაღლებო! ძაღლები იყავით, და ძაღლაიმც და ვირაიმც ჩაგაკვდებათ“!

იქნება იკითხოს მკითხველმა მარტო მდედრობითი სქესთაგან მიზეზი ესრეთ მოქმედებისა, მიზეზი ამისა გახლავესთ აი რა: ეოფილა იმისთანა დრო, რა დროშიაც ხსენებულს ნასახლარში სცხოვრობდნენ მსძლაერი ხალხი, რომელთაც ჰქონებიათ ძრიელ ცუდი გავლენა, არათუ მარტო სოფ. სნოს მცხოვრებელზედ, არამედ სრულიად ხსენებულს დღესასწაულში სალოცავათ მოსრულთ ყველა დედალ გვრიტებზედაც. მაგალითად: მინამ მლოცველი ხალხი სნოდამ ამ ნასახლართან აივიდოდიან, მინამ იქ მცხოვრებნი თურმე გამოვიდიან და გზა შეჰკრიან მლოცველებისა, გადაარჩივიან რამთენმე კოხტა გვრიტი, და ჩაიყვანიან იმ სახლში. მლოცველების დარყიდამ უკან დაბრუნებამდე ამათთან გაატარიან დროება, და მერე იმათ თავი დაანებიან და სამაგიეროთ ახლა სხვები გამოარჩიეიან. მაშინ იმ დროს იმ სახლში მცხოვრებთ პირთაგან აი ესრეთ ტანჯულან ს. სნოს მცხოვრებნი თავიანთ სოფელში სალოცავათ მისრულის ხალხით, ვიდრე უკანასკნელის მათის აღსრულების ჟამამდე; ისინი, (როგორც მელაპარაკა ერთმა მოხუც-კაცმა სნოველმა), დახოცილან დიდ—ჭირიანობას.

რადგანაც მათთან სიცოცხლის დროს არაფერი შეეძლოთ სნოველებს, ამიტომ ეხლა მათი დედალი გვრიტები ნასახლარს ადგილზედ ყრილობენ ჯავრსა, როგორც არის მოხვევებში ანდაზათ ნათქვამი: „ცხენს არ აკადრიან, და უნაგირს გადაჰკრიანო“.

წარსულს წელს მე თითონ ვიყავი მლოცველ ხალხთან „დარყეს“ ჯერ ხალხი არ დაბრუნებულიყო ისე წინდა-წინ წამოველი ორის ამხანაკით; ჩამოველი და მოვიცადე სწორეთ იმ ალაგს, სადაც არის ხსენებული ნასახლარი; აქ ვნახე ჩემის თვალით, და მოვისმინე ყველა ის მოქმედება ქალებისაგან, რომელიც მოგახსენეთ ზემოთ. უფრო იმისთანა საეჭო გვრიტებს გადაუდიოდათ უზომათ ბევრი ქვა ხსენებულს ნასახლარში, რომელთათვინაც ვგონებ სასურველიც იქნებოდა ამ ჟამად მათი სიცოცხლე და ისრეთივე დრო. ერთ საეჭო დედალ გვრიტს, (რომელმაც უფრო ბევრი ქვები გადაჰყარა ნასახლარში), ვკითხე: სხვებზე მეტი ქვები სულ გადაჰყარა მეთქი იმ ნასახლარში? ბვრიტმა უპასუხა:

— „იმიტომ გადავყარე სხვებზედ მეტიო, რომ ეხლა რომ ისინი ცოცხლები იყვნენ, ხომ ჩვეულებრივად უნდა გამოსულიყვნენ თავიანთის ბოროტის გულის წადილის აღსასრულებლათ და იქნება ჩემს მშვენიერებაზედ დარჩებოდათ თვალი; მაშინ ხომ, უეჭველია, მეც იქ ჩამათრევდნენო. მართლაც-და, ერთ დროს სნოველები იმ ბოროტ-მოქმედ პირთაგან ისე შეწუხებულან, რომ იძულებულნი შექმნილან და ყოველს ამ სასწაულს დღეს თავიანთ სოფელში მისულის მლოცველი ხალხიც უგზოთ ასულან სალოცავათ „დარყეს“ და ჩამოსულან,—მაინც კი დარყის მთის წვერზე აუსვლელათ არ დამდგარან! ამიტომ არის ნათქვამი: „ჩვეულება სჯულზე უმტკიცესიაო“.

გაბრიელ ბედოშვილი.

სამართალი

—

ხელმწიფის მკვლელების საქმე.

სენატის სასამართლო

(სხდომა 27 მარტს, საღამოს *)

ყველიაბოვმა თავსმჯდომარის კითხვაზე—დამნაშავედ აღიარებთ თავს, თუ არაო,—უპასუხა: მე ვაღიარებ, რომ გაზ. „სანქტის ნების“ პარტიას ვეკუთვნი, და ვარ ამასრულებელ კომიტეტის წევრი. მე დიდხანს ვცხოვრობდი და ვმოქმედობდი ხალხში; მშვიდობიანად ვმუშაობდი ამ ხალხის წარმატებისათვის; მაგრამ იძულებული შევიქენი ეს ასპარეზი დამეტოვებინა იმავე მიზეზათ, რა მიზეზიც ჯიბალჩიჩმა მოიყვანა. მე შეიტყვენ—სოფელი და დავრწმუნდი, რომ უმთავრესი ბტერი ხალხის მომხრეებისა, სოციალისტებისა არის მთავრობა...

„მაშინ მე მიეხვდი, რომ ხალხის წარმატებისათვის პოლიტიკური ბძოლა იყო საჭირო.

შემდეგ ფელიაბოვმა დაწერილებით ახსნა—თუ როგორის წესით იყო გამართული საიდუმლო რევოლიუციური საზოგადოება. ერთი უმთავრესი „აღმასრულებელი კომიტეტი“ იყოვო, იმას უმცროსი წრეები ექვემდებოდნენო. „ყველა რევოლიციურ საქმეებში ვიღებდი მე მონაწილეობას. ხელმწიფის მოკვლის საქმეში თაოსნობაც მე მქონდა მონდობილი. „აღმასრულებელ კამიტეტმა“ გამომიცხადა, რომ 47 კაცი აღმოჩნდა, რომელნიც ხელმწიფის მოკვლას ჰკისრულობენო. ამ 47 კაცში მე ამოვარჩიე რამდენიც საჭიროდ და გამოსადეგად მიმაჩნდა. რისაკოვი ჩემი ამორჩეული იყო და ჩემის ხელმძღვანელობით მოქმედებდა. ტიმოფეი მიხაილოვი კი ჩემის დატუსაღების შემდეგ გაერია ამ საქმეში.

„პატარა ბალის ქუჩის ქვეშ რომ ასაფეთქებელი თხრილი აღმოაჩინეს, ისიც ჩემი საქმე იყო. მე ვიცოდი—რისთვისაც ამზადებდნენ ამ თხრილს; არა თუ ვიცოდი, თვითონაც ვმუშაობდი...

„რაიცა შეეხება ქ. ალექსანდროვსკთან რკინის გზის აფეთქებას და ხელმწიფის მოკვლის განზრახვას 1879 წ., ამ საქმის გარემოება ბეჯითად არის მოყვანილი ბრალმდებით ოქმში. მართალია, აქაც მონაწილეობა მქონდა....

ფელიაბოვის ჩვენების შემდეგ თავსმჯდომარემ მოახდინა განკარგულება, რომ მოწმეები და ექსპერტები შემოიყვანონ სასამართლოს ზალაში. ყველა ესენი, გარდა ბრალდებულის მიხაილოვის ძმისა, რომელიც მოწმედ იყო დააფიცეს.

ლმერთს ეევედრებოდა, ფუტურო გამოდგა:

„— წავხდი! ტუტურა გამოვიდა კარჭაღალი! დმერთო, რავაც აგია ტუტურაი, რავაც აგია გლახა და ფშუტურა, ისთე ჩვენი ლოცვა ქნი ყველაკაი ტუტურა და ნუ შეიგონებ ჩვენს ლოცვებს და ძაღლის წელებში გაარბენინე იმ ჩემს ლოცვას“.

უკეთესი იქნებოდა იმერელ და ქართლელ სცენებისათვის მაინც, რომ ავტორს მწერლობის ენით დაეწერა ეს სცენა...

თუ ამ ქუთათურ თითქმის პირველ გამოცემამ ვერ გასიამოვნათ, მაშ ახლა ერთი რამ უნდა გახაროთ და გულ-დასმით დამიგდეთ ყური.

ჩვენთვის დაუვიწყარს განსვენებულ მარი ბროსსეს შეუდგენია და ხელთნაწერად დარჩენია **საქართველოს ისტორია მისს დასაბამიდამ უახლესს დროამდე**, ანუ როგორც თვით ავტორი უწოდებს **„მოხილვა საქართველოს კრიტიკული ისტორიისა“**. ეს ძვირფასი თხზულება ყოველი ქართველისათვის დაწერილია რუსულად და მიყვანილი მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდი დანარჩენი ფრანცუზულად ჰქონია გაგრძელებული. მისს თარგმნას უკვე შეუდგა და გამოცემასაც აპირობს **ნ. ბ. ლოლობერიძე**, რომელმაც პეტერბურღიდამ ჩამოიტანა იმის პირი გადმოწერილი. რა დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ ისტორიას და ჩვენთვის განსაკუთრებით ამის თქმა, მადლობა ღმერთს, ქართულს მწერლობაში საჭირო აღარ არის: ამის თაობაზედ საკმაოდ ითქვა ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში (იხ. თუნდ №№ 66 და 67, 1876 წლის „დროებისა“). აქამომდე ყველა ჩვენგანი მოუთმენელად ელოდებოდა იმ დღეს, როცა გვახარებდენ ჩვენი მამულის ისტორია ღირსეულ კაცისაგან დაიწერაო. და აი პირველი მახარობლობა ჩვენ შეგვხვდა და ავასრულეთ კიდეც.

მაშ, საქართველოს ისტორია, იმისთანა ავტორიტეტულ მეცნიერისაგან დაწერილი, როგორც მ. ბროსსეა, მალე გვეღირსება!

მაგრამ მარტო ამით ნუ დავკმაყოფილდებით. რაც უნდა გენიოსისაგან იყოს დაწერილი ისტორია—ის იგეთი რთული და მრავალ-მხროვანი საგანია, რომ მისი სრულად დაძლევა ერთისათვის ყოველად შეუძლებელი არის. ისტორიის შემუშავებისათვის უნდა იღვწოდნენ გუნდნი მეცნიერებისა, მეტადრე იმისთანა დახლართულის ისტორიისათვის, როგორიც ჩვენია. მხოლოდ ამ ღვაწლს უნდა დაჯილდოვება, რომ მშრომელი სულითა და გულით მიეცეს მას... მაშ, ბატონებო, შესწირეთ თქვენ თქვენი წილი იმავ მ. ბროსსეს სახელობაზე პრემიის დასაფუძნებლად გამართულს ხელის-მოწერას და მითი მცოდნე კაცებს შეაძლებინეთ მამულის ისტორიისათვის თავ-გადადებით ხელის-მოკიდება. სირცხვილზე უფრო უარესი იქნება ჩვენთვის, რომ სამშობლოს ისტორიის დამწერიც კი ვერ დავაჯილდოეთ! სირცხვილი იქნება, რომ იმისთანა კაცის სახელობაზე ვერ დავაფუძნოთ პრემია, როგორიც იყო მ. ბროსსე—ნახევარ საუკუნის განმავლობაში მშრომელი ჩვენის ენის, მწერლობის და ისტორიისათვის! თუ სიცოცხლეში ვერ ვაჯილდოვებდით მას, სიკვდილს შემდეგ მაინც ნუ მოვაკლებთ მისს სასიქადულო სახელს ჩვენს წელილსა, რომელიც ჩვენვე დაგვიბრუნდება ას-კეცი სარგებლით და გადავა შვილით-შვილამდე. ეს სიტყვები მიმიმართავს განსაკუთრებით თფილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის დამფუძნებელთ კრებისადმი, რომელიც უნდა მოხდეს ამ აპრილის დამლევს.

ი—ძე.

---

*) „დროება“ № 84.

პირველად ჩამოართვეს ჩვენება ხელმწიფის კუჩერს, ფროდ სერგეევს, რომელიც იჯდა კარეტაზე, როდესაც ხელმწიფე იმპერატორი მოჰკლეს: რომ კარეტა მივართვი მიხაილოვის მანეჟში წადი პეტერბურგის ხიდითო მიბრძანა. ეკატერინეს არხს რომ გავცილდი, გავაქანე ცხენები და ამ დროს უეცრად მომესმა რაღაც საშინელი ხმა. ხელმწიფემ დამიძახა „გაჩერდიო“ და მეც კარეტა გავაჩერე.

ხელმწიფე კარეტის მარცხენა კარებიდამ გამობრძანდა და მივიდა ხალხის გროვასთან. ოტა ხანს შემდეგ მეორე უფრო საშინელი ხმა მოისმა. ხელმწიფე სისხლით გასერილი მოიყვანეს კარეტასთან; ვილამაც სთქვა, რომ კარეტა დამტვრეულია და ამით წაყვანა არ შეიძლებაო. პოლიციმეისტრის მარხილში ჩაასვენეს და სასახლეში წაიყვანეს. მეც იქითკენ გავაქანე ცხენები. აქ, სასახლეში შევიტყე რომ ხელმწიფე უკვე გარდაცვლილიყო.

ხელმწიფის მცველ როტის უფროსმა კაპიტანმა ჯოხმა დაწერილებით ილაპარაკა პირველი და მეორე ყუმბარის სროლის ამბავი და რისაკოვის დაჭერისა. ამის ნაამბობი ადრე იყო გაზეთებში დაბეჭდილი. აქ, სხვათა შორის, სთქვა, რომ რისაკოვი რომ დაიჭირეს, გაბრაზებული ხალხი მივარდა, ცემა დაუწყო და მოკვლას უპირებდნენ, მაგრამ მე დავიცავიო.

წაიკითხეს დაწერილი ჩვენება პოლიციმეისტრის პოლკოვნიკის დეორჟიეკისა, რომელიც ხელმწიფეს ახლდა 1 მარტს, როცა მოჰკლეს.

არც ამაში და არც სხვა მოწმეების ჩვენებაში ახალი გარემოება, ისეთი, რომელიც წინათ არ ყოფილიყოს გამოცხადებული და მოყვანილი ან გაზეთებში და ბრალმდებით ოქმში, არ ყოფილა. ამიტომ სასამართლოს გამოძიებას ამით ვათავებთ და შემდეგ ნომერში მოვიყვანთ შემოკლებით იმ სიტყვებს, რომელიც პროკურორმა მურავიევმა და ბრალდებულთა დამცველებმა წარმოსთქვეს.

(დასასრული შემდეგ №-ში.)

განცხადებანი

სწავლა გამოჭრისა და შეკერვისა,

ახალი ხელოვნებით დახაზვის შუამავლობით.

იქვე მიიღებენ ქალების და უმაწვილების ტანისამოსის შეკერვას, ზომის აღებას და გამოჭრას; ისყიდება ახალ მოდის სახვნი გამოჭრილებისა შეპირებული ზომისა და დააწყობენ ჭლისეს მაშინაზედ. აგრეთვე ასწავლიან შეუძლებელ-უმაწილ ქალთა, რომლის პირობაც შეიძლება შეიტყოთ კუკიაში, ნიკოლაევის ქუჩაში № 87. (10—2)

უმთავრესი კანტორა

იაგ. კასუმოვის და ამხ.

სავაჭრო სახლისა სთხოვს ვისაც მონაწილეობა აქვს ოპერაციის მეორედ და მესამე გრუპაში შინაგან სესხის მოგებიან ბილეთების გაყიდვაში ვადის გაგრძელებით, მობრძანდენ სსენებულ კანტორაში ამ წლის 22 აპრილს, ე. ი. ოთხშაბათს 7½ საათზედ საღამოს ხვედრი ბილეთის ნომრის ამოსაღებად, რომელიც ერგებად მონაწილეთ. თუ ყველა მონაწილენი ზემო აღნიშნულ გრუპებისა დანიშნულ ვადაზედ არ გამოცხადდენ, მაშინ ბილეთების ამოღება იქნება იმავე დღეს თანადასწრებით იმ მონაწილეთ, რომელნიც გამოცხადდებიან ზედამხედველი კომიტეტის სხდომაზედ შესახებ ფირმის საქმეებისა. 1881 წელში დადგენილია ასალი გრუპები, ბილეთების გაყიდვა იმავე პირობებით არის, როგორც აქამდისინ იყო.

(2—1)

იაგორ კასუმოვის და ამხ.

სავაჭრო სახლში მიღებულია სამძღვარგარეთიდან საოჯახო საუკეთესო ძვლის სავარცხლები სხვა და სხვა ზომებისა. ისყიდება არა საკლებ ნასყიდ დუკანისა ფაბრიკის ფასებით. (3—3)

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამოვანი — მაკ-ფასფერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ზომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საბონი, დუხები და სხვ.

(150—58)

ბევრი ქრაოტები

ფოდნოსები, კლიტეები, კალმები, ქაღალდები, თოფები, რევოლვერები, სტაქნები, ციტრატ-მაგნეზია, კანფეტები, მურაბები და სხვ. ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

იქვე: პალტო 12 მან — დამ, შარვლები 4 მან — დამ, ტრიკო 70 კ. ალაბი, თეფშები 12 კ. ერთი, ქიანტის ჩაი პირ-და-პირ მოსაელის ადგილიდამ მიღებული 1 მან. 5 კ. — 2 მან. (უმშვენიერესი) გირვ. უქაღალდოთ. ერთი ვაგონი მურაბები 85 კ. (20—19

თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ბეჭდვა-გეოგბისაგან *)

თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ქვემო-მოხსენებულ პირთა ბანკში დაგირავებული უძრავი მამულები, ბანკის წესდების § 15 თანახმად, დანიშნული არიან გასასყიდლად, რადგან ამ მამულების პატრონებს თავის დროზე არ შემოუტანიათ ბანკში წესდებით დადგენილი გადასახადი ფული (თავნი და სარგებელი).

მამული აღარ გაისყიდება, თუ იმის პატრონი ხვედრ ფულს შემოიტანს.

სახელი, მამის სახელი და გვარი მამულის მეპატრონისა.	რა გვარი მამულია?	სად მდებარეობს მამული?
ალექსეევ - მესხიევი, მიხეილ დიმიტრის-ძე. ერისთავი, გიორგი გრიგორის-ძე.	სამი ნაჭერი მიწა 178 დესიატინა და 840 ოთხ-კუთხი საჟ.	თფ. უეზდში სოფ. ახალ-დაბას.
შარვაშიძე, გრიგორ ალექსანდრეს-ძე.	სახნავ-სათესი და სათიბი ადგილები და ტყე, 1093 დესიატ. და 950 საჟ.	თფ. გუბ. თფ. უეზდში, სოფ. დრეს, წვერსა და ცხრულეთს. -,
ავალიშვილი, ივანე ზაალის-ძე.	სახნავ-სათესი და სამოსახლო ადგილები, 151 დესიატ. 300 საჟ.	თფ. გუბ. ბორის უეზდში, სოფ. ბრეთს.
მაღალაშვილისა, მარიამ დიმიტრის ასული	სახნავ-სათესი, საბალახე და სათიბი ადგილი, 2867 დესიატინა 562 ოთხ-კუთ. საჟ.	თფ. უეზდში, სადახლოში, ჩოჩკანაში, ქვემოთ სოფელს თოხლიქიმძას, არ-, ბათალას, ფალანთაა კიანს, ბალითალასს ხუჯაბას, ლიალვარი, საბალახოები, ხუდიბანას და აბაბათალის ა და ბულაბალატყეები.
ციციშვილი, ქირილე ედიშერის-ძე.	სახნავ-სათესი და საბალახე ადგილი და ტყე, 847 დესიატ. და 600 საჟ.	თფ. გუბ. და უეზდში, სოფ. ახმალალას (იგივე ბამაი).
კერესელიძე, ივანე ივანეს-ძე.	სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები და ტყე, 104 დესიატ. და 1200 ოთხ-კუთ. საჟ.	თფ. გუბ. და უეზდში, სოფ. ბოგვს.
ამილახვრები, ქეთევან ქრისტეფორეს ასული და ზაქარია ალექსანდრეს-ძე და თამზიევისა მარიამ ალექსანდრეს ასული.	სახნავ-სათესი და სამოსახლო ადგილები, 33 დესიატ. და 320 ოთხ-კუთ. საჟ.	თფ. გუბ. ბორის უეზდში, სოფ. ბრაკალში.
მელიქოვი, ივანე ალექსანდრეს-ძე.	საბალახე ადგილი და ტყე, 2365 დესიატ. და 364 ოთხ-კუთხი საჟ.	თფ. გუბ. და უეზდში, ბელიტალას, მეხანკას, ხუჯაბას და სხვ.
გახვახოვისა, ეკატერინა გიორგის ასული.	სახნავ-სათესი ადგილი და ტყე, 308 დესიატინა, 555 ოთხ-კუთ. საჟ.	თფ. გუბ., თელავის უეზდში, სოფ. ქონდოლთან.
ქარუმიძე, ივანე პაატას-ძე. ერისთავი, გრიგორ პავლეს-ძე.	სახნავ-სათესი ადგილი, 34 დესიატინა, 1320 ოთხ-კუთ. საჟ.	თფ. გუბ. ბორის მაზრაში, თორთიზში.
	სახნავ-სათესი, საბალახე ადგილები და ტყე, 422 დესიატ. და 1160 საჟ.	თფ. გუბ. ბორის უეზდში, სოფ. ბვარებს.
ციციშვილისა, ხორეშან თადეოზ. ასული.	სახნავ-სათესი ადგილი და ტყე, 234 დესიატ. და 1368 ოთხ-კუთ. საჟ.	თფ. გუბ. დუშეთის უეზდში სოფ. საგურამოს.
თუმანიშვილისა, ბარბარე ივანეს ასული, აპეკუნშა.	სახნავ-სათესი ადგილი და ტყე, 292 დესიატ. და 1502 საჟ.	თფ. გუბ. და უეზდში სოფ. წოდორეთში.
ორბელიანი, ვახტანგ ვახტანგის-ძე.	სახნავ-სათესი, საბალახე და სათიბი ადგილები, ტყე 1292 დესიატ. და 1600 საჟ.	თფ. გუბ. და უეზდში აბულმუქს.
მაყაშვილები, გიორგი რევაზის-ძე და ზურაბ ივანეს-ძე.	სახნავ-სათესი ადგილი და ტყე, 660 დესიატ. და 1800 საჟ.	თფ. გუბ. თიონეთის უეზდში, ბოტკოში.
ბალიკაშვილისა, ეკატერინე პავლეს ასული.	სახნავ-სათესი ადგილი და ტყე, 130 დესიატ.	თფ. გუბ სიღნაღის უეზდში, სოფ. ვეჯინს, ბურჯაანს და ნაუსტალს.

(შემდეგი იქნება)

*) „დროებაში“, №-ში 74

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Апрѣля 1881 г. Типографія С. Меликова. ბამბ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ი. ჭავჭავაძე და ს. მესხი.